პროლეტარეთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 იანვარი შაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გამოცემის ნი-ე წელი

№ 19 (14623)

გამარჯვებული რკინიგზელები

ხუთწლიდის — ვალდებულებანი

ამერიკა-კავკასიის რკინიგზის სამმართველომ და რკინიგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პრეზიდიუმმა შეაჯამეს მაგისტრალის საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრების გასული წლის მე-4 კვარტალის შედეგები. მაგისტრალის მშრომელებმა, რომლებიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე დგანან, დიდი გამარჯვება მოიპოვეს: ვადაზე 8 დღით ადრე შეასრულეს რა საწარმოო წლიური გეგმა, მათ გეგმის გადამეტებით გადაზიდეს 700 ათას ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი. თვითეული ვაგონის მწარმოებლობა ნორმასთან შედარებით გადიდებულია 21,5 პროცენტით, ხოლო ზეგეგმითი მოგება შეადგენს 2.300 ათას მანეთს.

გზის თბილისის განყოფილების რკინიგზელებმა, რომლებმაც ჯერ კიდევ 1969 წლის 16 დეკემბერს დაიწყეს მუშობა ხუთწლედის დამამთავრებელი წლის ანგარიშში და მნიშვნელოვანი გადამეტებით შეასრულეს მოძრავი შემადგენლობის ბრუნვის დაჩქარების შესახებ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულ[illegible] [illegible] [illegible] [

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ

ᲛᲝᲒᲖᲘᲗᲜᲠᲝᲑᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲗᲐᲜ

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲘ ᲛᲬᲠᲣᲜᲕᲔᲚᲘᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲡᲪᲚᲔᲠᲘᲡ ᲕᲔᲠᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲗ ᲨᲕᲘᲚᲡ. ᲪᲣᲓᲣ ᲕᲔᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲘᲢᲐᲕᲔ ᲛᲐᲗᲖᲔ — ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲛᲐᲛᲐ ᲒᲕᲒᲜᲐᲚᲔ! ᲘᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲛᲔᲤᲔᲓᲚᲘᲫᲔ ᲘᲮᲡᲝᲜᲔᲑᲓᲐ...

ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲠᲒᲐᲜᲨᲘ, ᲚᲐᲠᲘᲑᲘᲡ ᲒᲚᲔᲑᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ. ᲐᲗᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲪᲐ ᲒᲐᲯᲘᲠᲕᲔᲑᲐᲛ ᲐᲘᲫᲣᲚᲐ ᲯᲘᲝᲗᲣᲠᲐᲨᲘ ᲬᲐᲡᲣᲚᲘᲧᲝ ᲓᲐᲛᲝᲗᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲡᲐᲠᲩᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲔᲠᲘᲝᲠᲔ ᲓᲐᲓᲒᲐ ᲛᲔᲠᲘᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲗᲔᲗᲠᲘ ᲞᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲬᲐᲖᲔ. ᲘᲒᲘ ᲐᲜᲐᲛᲔᲑᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲐᲠ ᲐᲛᲔᲑᲓᲐ. ᲪᲐ ᲤᲘᲠᲣᲜᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲮᲓᲔᲑᲐ, ᲐᲛ ᲛᲬᲘᲛᲔ, ᲪᲐᲛ, ᲬᲐᲛᲗᲠᲘᲡᲘ ᲓᲔᲚᲐᲛ ᲘᲕᲚᲘᲐᲜᲘ ᲚᲘᲜᲘᲡᲗ-ᲫᲔ ᲮᲔᲕᲔᲓᲔᲚᲘᲫᲘᲡ ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲐᲪ ᲨᲔᲣᲛᲩᲜᲘᲚᲕᲔᲚᲐᲓ ᲮᲔᲕᲓᲐ ᲛᲝᲛᲙᲕᲐᲠᲔᲑᲘ. ᲛᲘᲡ ᲛᲠᲒᲕᲐᲚ, ᲛᲬᲘᲛᲝᲙᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲤᲘᲖᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ, ᲮᲨᲘᲠᲘ ᲬᲐᲛᲬᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲚᲐ ᲐᲖᲝᲓᲣᲚᲘ ᲬᲘᲠᲑᲔᲑᲘ ᲐᲛᲬᲕᲔᲜᲔᲑᲓᲐ. ᲘᲒᲘ ᲮᲣᲚ ᲛᲘᲣᲠᲓᲜᲔᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡᲬᲘᲜᲔᲖᲔ ᲪᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲡᲙᲐᲠᲘᲡ.

რა მოგონებებმა გაგიტაცათ აწმყანაგო ივლიანე?

ᲮᲨᲘᲠᲐᲓ ᲠᲝᲪᲐ ᲞᲝᲣᲚᲝᲑᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚ ᲓᲠᲝᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲝᲖᲘᲓᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲝᲢᲔᲯᲘᲡ ᲔᲖᲝᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲘ, ᲐᲮᲚ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ, ᲬᲐᲛᲘᲣᲗᲔᲗᲝᲗ ᲑᲐᲚᲨᲘ, ᲡᲣᲤᲗᲐ ᲓᲐᲯᲘᲠᲗᲘ ᲓᲐᲯᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲪᲘᲪᲔᲗ. ᲑᲔᲕᲠᲘ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲮᲠᲘᲡᲣᲜᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲯᲓᲐ... ᲒᲐᲜᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲐ ᲣᲗᲮᲠᲐᲗ ᲐᲛ ᲓᲐᲣᲓᲒᲠᲘᲚᲘ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲗᲡ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲮᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡᲐ ᲗᲣ ᲛᲝᲚᲐᲠᲘᲝᲑᲔᲑᲘ ᲘᲛᲐᲖᲔ? ᲐᲜ ᲠᲝᲒᲝᲠᲛ ᲐᲠ ᲬᲐᲮᲕᲔᲓᲔᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲓᲠᲐᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲗᲐᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲐᲬᲧᲝᲗ? ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲐᲬᲧᲔᲠᲜᲔᲑᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲨᲔᲓᲒᲔᲗ ᲓᲐ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲪᲘᲪᲔᲗ. ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲠ ᲛᲮᲝᲠᲪ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲗᲮᲠᲐᲗ ᲐᲛ ᲓᲐᲣᲓᲒᲠᲘᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗᲗᲡ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲘᲡᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲛᲮᲘᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡᲐ ᲗᲣ ᲛᲝᲚᲐᲠᲘᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ? ᲠᲐ ᲗᲥᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ, ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲘᲡ ᲐᲬᲧᲔᲠᲜᲔᲑᲘᲗ, ᲗᲐᲕᲘᲐᲜᲗ ᲨᲔᲓᲒᲔᲗ ᲓᲐ ᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲪᲘᲪᲔᲗ. ᲑᲔᲕᲠᲘ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲐᲮᲠᲘᲡᲣᲜᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘ ᲛᲘᲪᲘᲪᲔᲗ... ᲒᲐᲜᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲐ ᲣᲗᲮᲠᲐᲗ ᲐᲛ ᲓᲐᲣᲓᲒᲠᲘᲚᲘ

მსოფლიო დღე

ბაკურიანი

ევროპის უშიშროება მწვავე პრობლემაა

● იტალიელი კომუნისტები მხარს უჭერენ სრულიად ევროპის თათბირის მოწვევას ● კ. ფალდჯაიმის ინტერვიუ

რომი, 22 იანვარი. (საკდესი). **იტალიელი კომუნისტები მიესალმებიან ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა წინადადებას ევროპის ქვეყნების უშიშროებისა და თანამშრომლობის საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ, განაცხადა იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრმა კარლო გალუციმ გაზეთ „უნიტასთვის“ მიცემულ ინტერვიუში.**

ჩვენი აზრით, თქვა გალუციმ, იტალია განსაკუთრებით დაინტერესებულია ამ თათბირის მოწვევით, რომელიც რაც შეიძლება მალე უნდა გაიმართოს. ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე, რომ იტალიის მთავრობამ ამჟამად დაუჭიროს მხარი ამ თათბირის მოწვევას. ვითვალისწინებთ რა იტალიისა და ევროპის ახლანდელ მდგომარეობას, მიგვაჩნია, რომ ახლა შეიქმნა მისი მოწვევის პირობები და არის რეალური შესაძლებლობა ევროპის უშიშროების პრობლემების სერიოზული და ღრმა განხილისათვის.

ვენა, 22 იანვარი. (საკდესი). **ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კურტ ვალდჰაიმმა მაღალი შეფასება მისცა სოციალისტური ქვეყნების წინადადებებს ევროპის უშიშროების საკითხებისადმი მიძღვნილი სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ.** ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებმა ევროპის უშიშროების საკითხებისადმი მიძღვნილი სრულიად ევროპის თათბირის მოწვევის შესახებ. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებმა ევროპის ორგანიზაციის წესდებას და უკვე ამით მხარი დაუჭირა ამ პროფიციას, რაც შეეხება სრულიად ევროპის თანამშრომლობას, ეს საკითხი ავსტრიისათვის მუდამ უპირველესი მნიშვნელობისა იყო.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ნეიტრალურ სახელმწიფოებს შეუძლიათ შეასრულონ სასარგებლო როლი სრულიად ევროპის თათბირის მომზადებაში.

სხდომა ვარშავაში

ვარშავა, 22 იანვარი. (საკდესი). **სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთშეგულებათა საბჭოს ეროვნულ გეგმათა კომისიის ბიუროს ეკონომიკურ ორგანიზაციის სამდივნოს გაფართოებულ სხდომაზე.** ეკონომიკურ ურთიერთშეგულებათა საბჭოს ეროვნული ორგანიზაციის ბიუროს ეკონომიკურ ორგანიზაციის სამდივნოს გაფართოებულ სხდომაზე მიიღეს ეკონომიკურ ურთიერთშეგულებათა საბჭოს საერთაშორისო ორგანიზაციის სამდივნოს გაფართოებულ სხდომაში. ეკონომიკურ ურთიერთშეგულებათა საბჭოს საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ირეი კუბკამ საკდესის კორესპონდენტს უთხრა, რომ ვარშავის შეხვედრის დროს, რომელიც გაიმართა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან პოლონეთის დედაქალაქის განთავისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულის დღეებში, განიხილეს ეკონომიკურ ურთიერთშეგულებათა საერთაშორისო ორგანიზაციის ამოცანები და გეგმები ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულისათვის. განიხილეს აგრეთვე ფაშიზმზე გამარჯვების 25 წლისთავის მომავალი დღესასწაულების დროს სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკურ ურთიერთშეგულებათა საბჭოს ეროვნულ ორგანიზაციათა გეგმები.

ჩრდილოეთ ირლანდია

ამზადებენ ახალ რეპრესიებს

ლონდონი, 22 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ვ. ნიკიტინი იუწყება: **ჩრდილოეთ ირლანდიის ხელისუფლებს განზრახული აქვთ განაგრძონ რეპრესიები ქვეყნის მოსახლეობის წინააღმდეგ, რომელიც მოითხოვს მოქალაქეობრივ უფლებათა და დემოკრატიულ თავისუფლებათა მინიჭებას.** სწორედ ამ მიზნით შეიმუშავეს კანონპროექტი „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შესახებ“, რომლის განხილვა დაიწყო ოლსტერის სენატში.

ხმის უმრავლესობით მმართველი იუნიონისტური პარტიის წარმომადგენლებმა უარყვეს ოპოზიციის რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვა უარი ეთქვათ კანონპროექტის განხილვაზე. ოპოზიციური ნაციონალისტური პარტიის წარმომადგენელმა მაკგილმა თავის გამოსვლაში, კერძოდ, განაცხადა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის ინტერესებისათვის უმჯობესი იქნებოდა, თუ მთავრობა საერთოდ უარს იტყოდა ახალი კანონის შემოღებაზე.

კანონპროექტი ითვალისწინებს უფრო მკაცრ რეპრესიებს „უკანონო პროცესიებსა და დემონსტრაციებში მონაწილეობისათვის, საზოგადოებრივი შეხვედრების დაკავებისა და ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობისათვის“. ამავე დროს, იგი პრაქტიკულად არაფრით არ ზღუდავს „B-სპეციალური ძალების“ მოფაშისტურ ელემენტების მოქმედებას, რომლებიც გასული წლის აგვისტოში მონაწილეობდნენ ოლსტერის მოსახლეობის აწიოკებაში.

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲡ

პარიზის თათბირი ვიეტნამის საკითხზე

პარიზი, 22 იანვარი. (საკდესი). **დღეს აქ გაიმართა ვიეტნამის საკითხზე პარიზის თათბირის 51-ე პლენარული სხდომა.**

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის დელეგაციის მეთაურმა ნგუენ თხი ბინმა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა, რომ ვიეტნამის საკითხზე თათბირის მსგავლობის დროს პროგრესის მიუღწეველობისათვის პასუხისმგებლობა აკისრია ამერიკის შეერთებულ შტატებს. მან ამხილა ამერიკის პროპაგანდის მიერ რეაქციამორეული ეწერეი წოდებული სამხრეთ ვიეტნამში ომის „ვიეტნამიზაციის“ გეგმა. ნგუენ თხი ბინმა ხაზი გაუსვა, რომ ეს არის „მხოლოდ ომის განგრძობის გეგმა ი ომ პირობებში, როცა სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების ოკუპანტური აგრესიული ომის სტრატეგიამ მარცხი განიცადა“.

განაგრძობს რა „ვიეტნამიზაციის“ პოლიტიკას, აგრეთვე „ძალის პოზიციიდან“ მოლაპარაკების პოლიტიკას, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გააძლიერა რეპრესიები და გააძლიერა სამხრეთ ვიეტნამში მხეცურ დანაშაულთა რიცხვი. ნგუენ თხი ბინმა თქვა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საიგონის ადმინისტრაციამ შექმნეს რეაქციონერ ბატალიონი და გამოყვეს ჯავშნიანი მანქანები და ქვემეხები იმისათვის, რომ 1969 წლის 11-დან 16 ნოემბრამდე კუანგნამის პროვინციის 17 კომუნაში შურისძიებისა „დაჩქარებული დაშოშმინების“ ოპერაციაა. პირველი მონაცემების თანახმად, მარტო 11-12 ნოემბერს ხუთ კომუნაში ამერიკის ჯარებმა საიგონის ადმინისტრაციის ჯარებისა და სამხრეთკორეული დაქირავებულების დახმარებით დახოცეს 700 მშვიდობიანი მცხოვრები, ცეცხლი წაუკიდეს 1000-ზე მეტ სახლს, რამდენიმე ათას ჰექტარზე გაანადგურეს სასოფლო-სამეურნეო კულტურები, გაეკიცხეს ათასობით სული პირუტყვი, დაიტაცეს მოსახლეობის ქონება. გარდა ამისა, ათასობით ადამიანი დაუპატიმრეს.

ნგუენ თხი ბინმა ხაზი გაუსვა, რომ საქმე იღებს უკანასკნელ წელს სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის მხედრიონის მიერ ჩადენილ ერთ-ერთ ყველაზე საზარელ დანაშაულს. მან განაცხადა, რომ ვიეტნამელი ხალხი განაგრძობს სამართლიან ბრძოლას დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის დიდ გულისწყრომას გამოთქვამს იმ ახალ დანაშაულთა გამო, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საიგონის ადმინისტრაციამ ჩაიდინეს კუანგნამის პროვინციის 17 კომუნაში, განაცხადა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ხა მინ ლაუმ. მან ხაზი გაუსვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არ წყვეტს აგრეთვე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის [illegible] ამერიკელ მოქალაქეთა [illegible] ლაოსის ტერიტორიიდან [illegible] ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ორ პროვინციას.

ილაპარაკა რა ოთხმხრივი თათბირის მუშაობაზე, ხა ვან ლაუმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების საკითხის გამო არ არის ნაკარნახევი ვიეტნამელი ხალხის ძირითადი ეროვნული უფლებებისა და სამხრეთვიეტნამელი მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლების პატივისცემით ან ნამდვილად მშვიდობის აღდგენის სურვილით. იგი უფრო ნაკარნახევია იმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აპირებს განაგრძოს ომი, რაც გამოთქმული იყო იმ ორაზროვან განცხადებებში, რომლებიც ყოველთვის მათი ილეთდებოდა ხა ვან ლაუს ამერიკის შეერთებულ შტატებს დააკისრა პასუხისმგებლობა ომისათვის, რომ პარიზის თათბირზე პროგრესს ვერ მიაღწიეს.

ᲑᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ

ბონი, 22 იანვარი. (საკდესი). **გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიმდინარეობს „გერმანიის კომუნისტური პარტიის კვირეული“, რომელიც მიზნად ისახავს პარტიის აქტივობის, პოლიტიკური, იდეოლოგიური და ორგანიზაციული გაფხტკოცების შემდგომ განვითარებას.** გერმანიის კომუნისტური პარტიის ღონისძიებებმა მიიპყრო ქვეყნის საზოგადოებრივობის ფართო ყურადღება. როგორც გერმანიის კომუნისტური პარტიის გამგეობა იუწყება, ამ დღეებში ნიურნბერგისა და კასელის საწარმოებში გაბმულ მასობრივი მიტინგები და კრებები. მიუნხენსა და მანგაიმში კომუნისტებმა გამართეს სტუდენტთა შორის ფართო დისკუსიები, რომლებიც მიეძღვნა უმაღლესი სკოლის საკითხებზე გერმანიის კომუნისტური პარტიის მიერ შემუშავებული პროგრამის პროექტის განხილვას.

22 ქალაქში მოეწყო კომუნისტური პარტიის სპეციალური საინფორმაციო სტენდები, გავრცელდა ბლაკატები და ფურცლები, რომლებიც ასახავენ კომუნისტთა საქმეებს.

როგორც პარტიის გამგეობის ცნობაშია აღნიშნული, „გერმანიის კომუნისტური პარტიის კვირეული“ დაიწყო რურის ცენტრში მდებარე მეშპეტეთა ქალაქ ბოტროპში შეხვედრით. ამ კრებით გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ გაბსნა ლენინის იუბილეს წელი და კომუნისტთა „კვირეული“ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ

● **პრაღა,** 23 იანვარი. (საკდეხი). **წელს ჩეხოსლოვაკიის ქარხნები გამოუშვებენ „შკოდა-100“ და „შკოდა-110“ მარკის 125 ათას მსუბუქ ავტომობილს. ქვეყნის ყველა ავტოქარხნის პროდუქცია გაიზრდება 10 პროცენტითა და მეტად შარშანდელთან შედარებით.**

● **კაირო,** 23 იანვარი. (საკდესი). **აქ გამოქვეყნდა ზიმბაბვეს აფრიკელი ხალხის კავშირის პარტიის წარმომადგენლობის განცხადება, რომელშიც აღნიშნულია, რომ ზიმბაბვეს აფრიკელი ხალხის კავშირის პარტიის პარტიზანებმა „როდეზიელ ფაშისტთა ჯარებს“ შორის წინა კვირაში მოხდარი შეტაკებანი იმ გმირული ბრძოლის გაგრძელებაა, რომელსაც ზიმბაბვეს ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლნი ეწევიან.**

● **ლაგოსი,** 23 იანვარი. (საკდესი). **ფედერალურმა მთავრობამ ნიგერიის წითელ ჯვარს მისცა მითითება დაბარნოს „შენეწირი“ 7 ათასი გირვანქა, რომელიც ადრე საფრანგეთის „საფრის“ ნავთობის კომპანიამ გაიღო. ანალოგიური განკარგულება გაიცა აგრეთვე ისრაელისა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მხრივ „შენეწირის“ თაობაზე.**

მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ „ეს განკარგულებანი შეესაბამება მთავრობის მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ დახმარება არ მიიღონ იმ სახელმწიფოებისაგან, რომლებიც ყოფილ სპარატისტულ რეჟიმთან თანამშრომლობდნენ“.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ

ᲡᲐᲛᲘᲛᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ბონი, 22 იანვარი. (საკდესი). **„ეროვნული შტაბის“ აღდგენა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ყოფილისმომცველი მილიტარიზაცია — ასეთია ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის სამხედრო პროგრამის მთავარი მიზნები, რომლის დაწვრილებითი ამბები აქ გახდა ცნობილი.** ამ პროგრამის საშუალებით, რომელიც ბევრ რამეში წაიგავს ნეონაციონალ-დემოკრატიული პარტიის სამხედრო პროგრამას, კიზინგერის პარტია ცდილობს ზამოქმედოს მოახლინოს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის, თავისუფალი დემოკრატიული პარტიის მთავრობის პოლიტიკაზე სამხედრო დარგში. გუშინ ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირის საპარლამენტო ფრაქციამ მოიწონა ეს პროგრამა, დღეს კი მისმა წარმომადგენელმა პირდაპირ მოიწოდა მთავრობას „თანამშრომლოს ოპოზიციასთან“ ამ დარგში.

ისევე როგორც ნეონაციონალები, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი, რომელიც ესწრაფვის გერმანიის მხედრიონის ტრადიციებს აღორძინებას, მოითხოვს გენერალური შტაბის აღდგენას. ამ მიზნით ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი იბრძვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს ირეალურ „გორდაქმნისათვის“ და ბუნდესვერის გენერალური ინსპექტორებისათვის ფართო უფლებების მინიჭებლად. მათ უნდა მიიღონ ადგილი ეგრეთვე მეტი „დამოუკიდებლობა“ თავდაცვის სამინისტროსაგან. პროგრამა ითვალისწინებს ბუნდესვერის „გაერთიანებული ხელმძღვანელის შტაბის“ შექმნას, რომელმაც, როგორც ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირი — ქრისტიანულ-სოციალური კავშირი სამხედრო ექსპერტი კლაუმი აღიარებს, ფაქტიურად უნდა შეასრულოს „გენერალური შტაბის“ ფუნქციები.

ᲛᲬᲕᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲞᲘᲢᲐᲚᲘ

ესპანეთი

პარიზი. ფრანკისტულ ხელისუფალთა რეპრესიები ვერ გატეხს ორგანიზებულ საგაფიცო ბრძოლას, რომელსაც ესპანეთის ათიათასობით მშრომელი ეწევა.

„ლუმანიტე“ იმოწმებს ესპანეთიდან მიღებულ ცნობებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ესპანეთის მუშათა კლასის ბრძოლა ძლიერდება, საგაფიცო მოძრაობა მწვავდება.

მეხუთე კვირაა გრძელდება ასტურიის მეშახტეთა გაფიცვა. სახელმწიფო-მონოპოლისტური ტრესტის „უნოსის“ დირექციამ ლოკაუტი გამოაცხადა და უარს ამბობს დააკმაყოფილოს 25 ათასი მეშახტის კანონიერი მოთხოვნები მატერიალური მდგომარეობისა და შრომის პირობების გაუმჯობესების შესახებ.

ესპანეთის კომპარტიის აღმასკომმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია რომ ახლანდელი საგაფიცო მოძრაობა „ესპანეთის პოლიტიკური მდგომარეობის გადამწყვეტი ფაქტორია“. კომუნისტური პარტია კვლავ მოითხოვს შეიქმნას „თავისუფლების ბლოკი“, მოუწოდებს შთელი ანტიფრანკისტული ძალების ერთობისათვის რაიმე დისკრიმინაციის გარეშე.

ᲑᲔᲚᲒᲘᲐ

ᲑᲠᲘᲣᲡᲔᲚᲘ. (საკდესი). ბელგიის ლიმბურგის პროვინციის ქვანახშირის აუზის მეშახტეები განაგრძობენ ორ კვირაზე მეტი ხნის წინით დაწყებულ გაფიცვას. მუშაობა შეწყდა აუზის ყველა შახტში. გაფიცულნი, რომელთა რიცხვმა უკვე გადაამტა 23 ათასს, მოითხოვენ მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, აგრეთვე იმას, რომ ხელი აიღონ ამ რაიონის შახტების დახურვის განზრახვაზე. მათთან სოლიდარობის ნიშნად გაფიცეა გამოაცხადეს ლიეჟის მეშახტეებმა.

ᲨᲕᲔᲪᲘᲐ

სტოკჰოლმი. (საკდესი). შვეციის კონცერნ „ს

ბიბლიოთეკა — მშობლიურ სოფელს

მეცნიერის ამაგი

ჩოხატაური. 23 იანვარი. (ტელეფონთან საკ. კორ). 75 წელი შესრულდა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის აკადემიკოს ნიკოლოზ ბერძენიშვილის დაბადებიდან (გარდაიცვალა 1965 წელს).

სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა მის მშობლიურ სოფელში გოგოლესუბანში აკადემიკოსისა და მისი ოჯახის მიერ აგებული ახალი ბიბლიოთეკის გახსნა და სამეცნიერო სესია ჩოხატაურში, რომელიც მოაწყეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს სსრ ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის საზოგადოებამ.

გოგოლესუბანი ერთ-ერთი მშვენიერი სოფელია ჩოხატაურის რაიონში. იგი წელიწადის ყველა დროს დიდებული სანახავია. სოფელში ღღეს დიდი სიხარულია. ადრე დილითვე იგრძნობოდა მშრომელთა საზეიმო განწყობილება. დღის სამი საათისათვის ხალხით გაიბედა სოფლის ცენტრში თანამედროვე სტილით ნაგები თეთრი შენობის ეზო. ეს შენობაა სოფლის ახალი ბიბლიოთეკა, რომლის აშენება დაიწყო გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა თანასოფლელებისათვის. ახლა მისმა ოჯახმა საკუთარი სახსრებით დაამთავრა ეს შენობა. წიგნის მდიდარი ფონდით და მოწყობილობით ეს ბიბლიოთეკა ერთ-ერთი საუკეთესოა რაიონში. იგი აიშენა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ქუთაისის № 4 ტრესტის № 9 სამშენებლო სამმართველომ. მშენებლობას ხელმძღვანელობდა ინჟინერი ა. ბერძენიშვილი.

აქ ჩამოვიდნენ თბილისიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და ქალაქებიდან სტუმრები, მეცნიერები, ღვაწლმოსილი ადამიანები, აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის მეგობრები, მოწაფეები და ყოფილი ასპირანტები.

აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად

საზეიმო სხდომა გახსნა ჩოხატაურის რაიონმასკომის თავმჯდომარემ გრ. მამალაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს უფროსი ა. კალანდარიშვილი. ნ. ბერძენიშვილს ყოფილი ასპირანტი, დოცენტი შ. ხანთაძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. აფაქიძე, ბოგოლესუბნის რვაწლიანი სკოლის დირექტორი, აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ყოფილი სტუდენტი ა. სიხარულიძე. საინტერესო მოგონებებით გამოვიდა ამ სოფლის მკვიდრი, ძველი ბოლშევიკი. ნ. ბერძენიშვილის ბავშვობის მეგობარი ა. გოგოლაძე, რომელმაც სოფლის მშრომელთა სახელით მადლობა გადაუხადა ნ. ბერძენიშვილის ოჯახს ესოდენ ძვირფასი საჩუქრისათვის. შემდეგ ზეიმის მონაწილეებმა დაათვალიერეს ბიბლიოთეკა.

ზეიმმა დაბა ჩოხატაურში გადაინაცვლა. აქ მოეწყო ნ. ბერძენიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია. სესია გახსნა პარტიის ჩოხატაურის რაიკომის მდივანმა რ. პაიჭაძემ. მოსმენილ იქნა მოხსენებები „აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა" (პროფესორი მ. დუმბაძე), „აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი" (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შ. მესხია), „აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის როლი საქართველოს არქეოლოგიურ შესწავლაში" (ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ა. კალანდაძე).

საინტერესო მოგონებებით გამოვიდნენ ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორი ლ. სანიკიძე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი პ. რატიანი, ბათუმის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი ა. ინაიშვილი, ნ. ბერძენიშვილის მეუღლე ნინო ბერძენიშვილი და ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი. პროფესორი ი. აგაბრიანი.

ნ. ბერძენიშვილის მშობლიური რაიონის მშრომელები ყოველთვის მადლიერების გრძნობით მოგონებენ გბმორენილი მეცნიერის ამაგს.

ბ. ჩხაიძე.

თეატრალური ქრონიკა

● **ფოთის** ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო თეატრის სცენაზე რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ს. ახალაძემ დადგა გ. სანადირაძის „ეშმაკის სანქუთხედი". სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა გ. გახორიამ, მუსიკა ეკუთვნის გ. მაღრაძეს.

კ. კომახიძე.

● **ტყიბული.** ამ დღეებში მეშახტეთა ქალაქს ეწვია თბილისის ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრი, რომელმაც მაყურებელს უჩვენა სპექტაკლი „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს".

ვ. უვაგაძე.

● **ლაგოდეხი.** ნაყოფიერად მუშაობს ლაგოდეხის სახალხო თეატრის კოლექტივი. ამას წინათ აქ მაყურებელმა ნახა პრემიერა — ტ. სოლოდარის კომედია „ერთი დღე აგარაკზე". სპექტაკლი დადგა რეჟისორმა მ. თანდაშვილმა, მხატვრულად გააფორმა ა. დუნდუკოვმა.

შ. ბოგოსაშვილი.

ᲘᲦᲔᲑᲔᲜ ᲛᲝᲛᲥᲐᲕᲐᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ

დიდი ხანი არ არის, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის კათედრაზე საფუძველი ჩაეყარა ფოტოტელეჟურნალისტიკის სწავლებას, შეიქმნა კინო-ტელე სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორია. მომავალ ჟურნალისტებს საშუალება მიეცათ შეისწავლონ ეს თანამედროვე და მნიშვნელოვანი საქმე. მათ ფოტოსაქმისადმი დიდი ინტერესი გამოიჩინეს. ერთი სემესტრის განმავლობაში სერიოზული მუშაობა გასწიეს და აი შედეგიც: ფოტო-ტელელაბორატორიის კინოდარბაზში მოეწყო ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის ბანაყოფლების მესამე კურსის სტუდენტების ფოტონამუშევართა გამოფენა. ყველა წარმოდგენილი ექსპონატი თვრამეტი სტუდენტის ნამუშევარია. პედაგოგი გ. შეყილაძე საფუძვლიანად ასწავლის სტუდენტებს ფოტოსაქმის ყოველ წვრილმანს, თავიდანვე მიაჩვია ისინი დამოუკიდებლად მუშაობას. სწორედ ამის შედეგია, რომ გამოფენაზე წარმოდგენილ ნამუშევრებში იგრძნობა უშუალობა, თვითეული საკუთარი ხედვა.

გამოფენის ოფიციალურ გახსნამდე ცოტა დრო რჩება. ახალბედები ვინ იცის მურამდენად ამოწმებენ სურათებს განლაგებას, წარწერებს, განათებას. ემჩნევათ, რომ ღელავენ, და გასაგებიც არის... ზოგისთვის იქნებ სწორედ აქედან დაიწყოს ის გზა, ცხოვრებაში არჩეულს, სწორს და სამუდამოს რომ უწოდებენ.

გამოფენა გახსნა სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიის გამგემ თ. ქვარიანმა. სიტყვებით გამოვიდნენ: ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი აკ. ურუშაძე, პროორეკტორი დოცენტი ნ. ლომოური, აკადემიკოსი ე. ფიფია, პროფესორები ი. ბოცვაძე და ნ. ციციშვილი, გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის" რედაქტორი ა. სანებლიძე, ფოტოჟურნალისტი ს. ბილაძე, ჯგუფის პედაგოგი გ. მეყილაძე, სტუდენტი მ. მუმკუდიანი.

განსაკუთრებით მოსაწონია ვახტანგ ჩხუმიანის ნამუშევრები: „თამრიკო", „ნინო ჭირაქაძე", „სვანური ეტიუდები", „ჩრდილოთა სიმფონია", „ფოთოლთცვენა". ვ. ჩხუმიანის ნამუშევრებში უკვე იგრძნობა პროფესიონალიზმი. იგი კარგად გრძნობს კომპოზიციას და სინათლეს.

კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მ. დამენიას ფოტო „თამარ დრაგაძე". გასაკვირი არ არის, რომ ამ თემამ მიიქცია მომავალი ფოტოჟურნალისტის ყურადღება, ეს გახლავთ ახალგაზრდა ინგლისელი მწერალი წარმოშობით ქართველი თამარ დრაგაძე, რომელიც თბილისის უნივერსიტეტში ამზადებს საკანდიდატო დისერტაციას და ქართულ ენას ეუფლება.

ყურადღებას იქცევს გ. ბაშარულისა და მ. დამენიას „რეპორტაჟი საოპერაციოდან", თ. ხარაბაძის „ადგილი ესე ზმიდა არს", „ცის ხარკვილი", გ. ხუნდაძისა და თ. ხარაბაძის რეპორტაჟი „ერთი ზაფხულის ქრონიკა", გ. ტატიშვილის „ჩემი უბანი", „ზოარძანდით", მ. კეიდიას „მძიმეა ქუდი მონომახისა", „საიდუმლო გაანდო", მ. მუმკუდიანის „რომაული არდადეგები" და სხვ.

ახალგაზრდა ფოტოჟურნალისტების პირველი საინტერესო და მტკიცე ნაბიჯები გადადგმულია. შემდგომი წარმატებები კვლავ მათს ბეჯით შრომაზე, სწავლასა და შემოქმედებით ძიებაზე იქნება დამოკიდებული.

ბელა დურგლიშვილი.

• • •

1 **სურათებზე:** გამოფენის ექსპონატები. ზემოთ — ვ. ჩხუმიანი — ზამთრის პეიზაჟი, ქვემოთ მარცხნიდან — გ. ბაშარული და მ. დამენია — აკადემიკოსი ე. ფიფია ოპერაციაზე, მარჯვნივ — მ. დამენია — თამარ დრაგაძის პორტრეტი.

პირველი გამოფენა

თეატრი

მეტი უფროსებისადმი პასუხისმგებლობა

ჭიათურელთა სამ სპექტაკლზე

მეოცდარი წარსული აქვს ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო თეატრს. წლების მანძილზე იგი სიცოცხლით სავსე, შინაარსიანი სპექტაკლებით ახარებდა მაყურებლებს.

ჭიათურის თეატრის სპექტაკლებით არაერთხელ მოხიბლულან ჩვენი რესპუბლიკის სხვა ქალაქების, მათ შორის თბილისის მშრომელებიც.

კარგი ხანია თეატრმა დაკარგა თავისი ქომაგი და მოჭირნახულე, დაუცხრომელი ხელოვანი ბეჟელ ფრანგიშვილი. თეატრიდან წავიდა ზოგი გამოჩენილი მსახიობი და რეჟისორიც. მაგრამ თეატრი შეიცვალა ახალგაზრდა ძალებით, რომლებმაც გამოცდილ მსახიობებთან ერთად საკმაოდ მძლავრი შემოქმედებითი კოლექტივი შექმნეს. აი ამ რწმენით დაეკისრათ ჭიათურის თეატრის რამდენიმე წარმოდგენას.

და გაგვაოცა მართლაც რომ საოცარმა გულგრილობამ, რაც სუფევდა სცენაზე და პარტერშიც წარმოდგენების დროს. სად გაქრა ის ხალისი, შემოქმედებითი რიტმი და სიცოცხლე. რაც ასე დამახასიათებელი იყო ჭიათურის თეატრისათვის!

შეეგებოთ პირველ სპექტაკლს: რაფაელო ვიეანი — **„ქუჩის უკანასკნელი მაწანწალა"**, კომედია სამ მოქმედებად, დამდგმელი თამაზ ელიავა.

თარგმნილი რეპერტუარის შესახებ ჟურნალი „თეატრი" ამას წინათ წერდა: „როცა თეატრი თავისი მორიგი დადგმისათვის არჩევენს თარგმნილ პიესაზე შეაჩერებს, საჭირო არ არის დიდი სიბრძნე, რომ ასეთული უცხოური პიესიდან შეარჩიოს საბჭოთა სცენისათვის, თანამედროვე მაყურებლების გაზრდილი მოთხოვნილებების შესაბამისი დრამატურგიული ნაწარმოები".

ეს მართლაც ანბანური ჭეშმარიტებაა. რა მხატვრული, იდეური, შემეცნებითი ნიშნით შეიძლება გავამართლოთ „ქუჩის უკანასკნელი მაწანწალის" დადგმა ჭიათურის თეატრში? დაე იყოს ეს პიესა თუნდაც ბრწყინვალე დრამატურგიული ქმნილება, იგი მაინც უცხო აღმოჩნდა ჩვენი მაყურებლისათვის, თვით მსახიობებისა და დამდგმელისთვისაც კი.

ჩვენ ვნახეთ ულიმლამო, უსიცოცხლო სპექტაკლი. ვიფიქროთ სპექტაკლში სცენის გამოცდილ ოსტატებს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს ვალენტინა სვანელს, ასია დათუბაშვილს, ანტონ ბარათაშვილს, გივი მოდებაძეს, იოსებ ტყეშალაძეს, ნიკოლოზ ქამუშაძეს. ახალგაზრდა ნიჭიერ მსახიობ ლეგან ხვედელიძეს, სხვებსა და სხვებს... რა მოუვიდათ, ასე უხალისოდ რად დადიან, რატომ გრძნობენ თავს მშობლიურ სცენაზე დაუტიტიტებელ სტუმრებად!

აი გამოჩნდა სცენაზე მაყურებლებისათვის კარგად ცნობილი მსახიობი ა. დათუბაშვილი მოხუცი ქალის ანარეკლს როლში. განა ცუდი სახე შექმნა. განა პროფესიული აქტიორის ღირსება დაიმცირა! მაგრამ იგი გრძნობს სპექტაკლს საერთო უსუსურობას და ასრულებს როლს როგორც სამსახურებრივ მოვალეობას. ერთხელ კიდევ წაუცეკვა (სე უნდოდა რეჟისორს), მაგრამ მოუყენებლობა არ გამქრალა მისი სახიდან, თითქოს ფიქრობდა — „ბარემ დამთავრდეს, გავიდე, გრიმი მოვიცილო"... მხოლოდ მთავარი როლის „მაწანწალას" შემსრულებელი ლეგან ხვედელიძე, როგორც იტყვიან, იხტიბარს არ იტეხდა, ცდილობდა სიცოცხლე შეეტანა ამ საერთოდ უსიცოცხლო სპექტაკლში.

არსებობს ძველი, მაგრამ მუდამ ახალი, შეუცვლელი კითხვა: რა უნდოდა ეთქვა თეატრს ამ სპექტაკლით?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა თვით მის დამდგმელ რეჟისორსაც გაუჭირდებოდა.

მეორე სპექტაკლი, რომელიც ვნახეთ, იყო აკაკი გეწაძის „**ჯარამან უანთელაძე**", დაწერილი ცოცხალი, მახვილი დიალოგებით, მომხიბვლელი ეპიზოდებით, მართლაც რომ მომზიდველი დრამატურგიული თხრობით.

რომელი როლის შემსრულებელი შეიძლებოდა დაგვეწუნებინა ამ სპექტაკლში! ყველა კარგია, ყველა სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, განსაკუთრებით ძირითადი როლების შემსრულებლები ლეგან ხვედელიძე და როდერ ჩაჩანიძე... ვუცქერთ მათ და გვიხარია — რა კარგი მსახიობები ჰყავს ჭიათურის თეატრს!

და მაინც სპექტაკლი ვერ დგას პიესის მხატვრულ ღირსებათა სიმაღლეზე. სცენაზე ვხედავთ საყვარელ მსახიობებს, რეჟისორი ოტია იოსელიანი ამ პიესაში არ ღალატობს თავის ძირითად ჟანრს—პროზას. პიესაში ჭარბობს უფრო პროზაული, ვიდრე დრამატურგიული თხრობა. ეს, რა თქმა უნდა, ანელებს იმ სიუჟეტურ სიმძაფრეს, რაც დამახასიათებელია დრამატურგიული ნაწარმოებისათვის, მაგრამ გვიხმობავს მასში დიდი გულწრფელობით ასახული საინტერესო ამბავი. დაე იყოს იგი უფრო პროზაული, ვიდრე დრამატურგიული, მაგრამ ხომ ცხობილია, რომ ყველა ჟანრი კარგია, გარდა მოსაწყენისა. მაყურებელი შეუნელებელი ინტერესით აღევნებს თვალყურს მთავარი როლების ჩინებულად შესრულებლებს — მსახიობ ვალენტინა სვანელს და როდერ ჩაჩანიძეს, რომლებმაც მართლაც დიდი სამართლით, წარმტაცი მხატვრული ფერებით დაგვიხატეს ქართული სოფლის უპატიოსნესი ადამიანების ადგილი ბოგვერაძისა და მისი მეუღლის კესარიას სახეები.

„მიხედეთ კერას, სადაც დაიბადეთ და აღიზარდეთ", — ასეთია სპექტაკლის იდეა. თავისთავად ცხადია, სპექტაკლის წარმატება განპირობა არა მარტო ამ ორი ძირითადი როლის მშვენიერად შესრულებამ. გვიხმობენ ეპიზოდური როლების შემსრულებლებიც, რომლებიც დიდი შემოქმედებითი პასუხისმგებლობით იკიდებენ ამ საინტერესო სპექტაკლს.

არ შეიძლება გვერდი აუარითა და გემოვნება (რეჟისორი ნოდარ დეისაძე).

ოტია იოსელიანი ამ პიესაში არ ალატობს თავის ძირითად ჟანრს—პროზას. პიესაში ჭარბობს უფრო პროზაული, ვიდრე დრამატურგიული თხრობა. ეს, რა თქმა უნდა, ანელებს იმ სიუჟეტურ სიმძაფრეს, რაც დამახასიათებელია დრამატურგიული ნაწარმოებისათვის, მაგრამ გვიხმობავს მასში დიდი გულწრფელობით ასახული საინტერესო ამბავი. დაე იყოს იგი უფრო პროზაული, ვიდრე დრამატურგიული, მაგრამ ხომ ცხობილია, რომ ყველა ჟანრი კარგია, გარდა მოსაწყენისა. მაყურებელი შეუნელებელი ინტერესით აღევნებს თვალყურს მთავარი როლების ჩინებულად შესრულებლებს — მსახიობ ვალენტინა სვანელს და როდერ ჩაჩანიძეს, რომლებმაც მართლაც დიდი სამართლით, წარმტაცი მხატვრული ფერებით დაგვიხატეს ქართული სოფლის უპატიოსნესი ადამიანების ადგილი ბოგვერაძისა და მისი მეუღლის კესარიას სახეები.

„მიხედეთ კერას, სადაც დაიბადეთ და აღიზარდეთ", — ასეთია სპექტაკლის იდეა. თავისთავად ცხადია, სპექტაკლის წარმატება განპირობა არა მარტო ამ ორი ძირითადი როლის მშვენიერად შესრულებამ. გვიხმობენ ეპიზოდური როლების შემსრულებლებიც, რომლებიც დიდი შემოქმედებითი პასუხისმგებლობით იკიდებენ ამ საინტერესო სპექტაკლს.



ნუთუ სპექტაკლების ავტორები ვერ გრძნობენ, რომ მსგავსი „მუსიკალური ილუსტრაციები" კი არ ეხმარება, არამედ მხოლოდ ხელს უშლის სპექტაკლის წარმატებას.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ უფრო არასასიამოვნო ფაქტი. ბიესების სპექტაკლების მუსიკალური გაფორმების ყოველად მიუღებელ საშუალებებს. სცენის წინ მარცხენა და მარჯვენა კუთხეში, მაყურებელთა თვალწინ დგას მაგნეტოფონის ხმის გადმომცემი აპარატები. წარმოდგენა, ცხადია, მიმდინარეობს სცენაზე, მაგნეტოფონის ყურისწამღები ხმაური კი „ატყობს" მხოლოდ პარტერს და არავითარი კავშირი არა აქვს სპექტაკლთან.

ჟიათურელთა სამ სპექტაკლზე დამდგმელ-რეჟისორები თავიანთი სპექტაკლების ბედისადმი ერთგვარი გულგრილობით არიან შეპყრობილი. ისინი ნახავენ პირველ ორ-სამ წარმოდგენას და მერე გაქრებიან, აღარ აინტერესებთ, თუ როგორ მიმდინარეობს შემდგომი წარმოდგენები. „უარამან ყანთელაძის" დამდგმელს სოლომონ ყიფშიძეს, მაგალითად, არ უნახავს, როგორ წამოყირავდა სცენაზე მოფურებელთა თვალწინ კარგი მოზრდილი დეკორაცია და როგორი ხმაურით დაენარცხა იატაკზე. მსგავსი ხიბთობგვა ახლა უკვე თვითმოქმედი დრამატული წრისათვისაც კი სამარცხვინო იქნებოდა.

თეატრში ვერც რეჟისორ ნოდარ დეისაძეს შეეხვედით. იგი რამდენიმე წლის წინათ მუშაობდა თელავის სახელმწიფო თეატრში. ორიოდე სეზონის შემდეგ დატოვა თელავი და გადავიდა ზუგდიდში. აქ მაინც ერთი სეზონი იმუშავა და წავიდა ისევ თელავში, ძალე კვლავ დატოვა თელავი და ადგა ბოსნარეთი გასწია ჭიათურისაკენ, ეს სიხარული გაუჭირა პირველივე წარმოდგენის დადგმის შემდეგ. ახლა კვლავ თელავშია.

ორიან სხვა რეჟისორები, რომლებსაც მუშაობის დაწყების დროდანვე ჩემოდანი ხელში უჭირავთ, სხვა ქალაქში გადაფრენისათვის ემზადებიან.

აქედან იბადება ყოვლად შეუწყნარებელი უპასუხისმგებლობა, გულგრილობა, კოლექტივისადმი უპატივცემლობა, მაყურებელთა აზრის უგულებელყოფა.

წელს ჭიათურელები აღნიშნავენ თავიანთი თეატრის არსებობის 75 წლისთავს, თეატრის ხელმძღვანელობამ მტკიცედ უნდა დაიცვას სახელოვანი ტრადიცია, მეტი შემოქმედებითი პასუხისმგებლობა გამოიჩინოს. შუდამ ახსოვდეს ის დიდი და სანატო ამოცანა, რასაც უსახავს ჩვენი პარტია საბჭოთა ხელოვნების მუშაკებს.

ჭიათურის თეატრს აქვს ყველა შესაძლებლობა მხარდაჭერ მიჰყვებოდეს ცხოვრებას. ამის თავდებია მისი სიცოცხლისუნარიანი, ნიჭიერი შემოქმედებითი კოლექტივი, რომელსაც სათავეში უდგას საკმაოდ გამოცდილი ხელმძღვანელობა.

გენო ქელბაქიანი.

• • •

სურათზე: სცენა სპექტაკლიდან „ხანამ ურემი გადაბრუნდება".

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ-ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ

გუშინ მოსკოვში სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნა მატჩი ჭადრაკში სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ქალთა ნაკრებ გუნდებს შორის.

თვითეული გუნდის შემადგენლობაში შედის ექვსი მოჭადრაკე. მეტოქეები ერთმანეთს ოთხჯერ შეხვდებიან. ასპარეზობა 31 იანვრამდე გაგრძელდება.

ორი წამყვანი საჭადრაკო ქვეყნის გუნდების შეხვედრა ყურადღების ცენტრშია. საბჭოთა ნაკრებს სათავეში უდგას მსოფლიოს ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი ნონა გაფრინდაშვილი.

ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲗᲐᲡᲖᲔ

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ

მეორე ყაიმი

ᲔᲠᲗᲘ დღის შესვენების შემდეგ გუშინ მოსკოვში განახლდა მატჩი ჭადრაკში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ტ. პეტროსიანსა და ლ. პოლუგაევსკის შორის. ამჯერად თეთრებით თამაშობდა ლ. პოლუგაევსკი. მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ. სამი პარტიის შემდეგ ანგარიშია 2:1 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ.

გთავაზობთ წინა, მეორე პარტიის მსვლელობას:

ტ. პეტროსიანი — ლ. პოლუგაევსკი

1. d4 ᲡF6 2. ᲡF3 e6 3. ᲒF4 b6 4. e3 ᲒB7 5. ᲓBd2 ᲒE7 6. h3 0—0 7. c3 d5 8. ᲓE5 ᲓBd7 9. a4 ᲓE5 10. ᲒE5 ᲓD7 11. ᲒG3 c5 12. ᲒE2 ᲒF6 13. ᲓF3 ᲒE7 14. 0—0 e5 15. de ᲓE5 16. ᲓE5 ᲒE5 17. ᲒE5 ᲒE5 18. ᲒF3 ᲒAD5 19. a5 ᲒC8 20. ab ab 21. ᲒE1 ᲒE6. ყაიმი.

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

● **სვერდლოვსკში** დამთავრდა ტრადიციული შეჯიბრება ჩქაროსნულ ციგურაობაში ფინეთის პრეზიდენტის ურჰო კეკონენის პრიზზე. მონაწილეობდა 150 სპორტსმენი. გარდაქმნილი პრიზი მოიპოვეს სასპორტო საზოგადოება „ტრუდის" სპორტსმენებმა.

● **დუშანბეს** „ენერგეტიკის" ფეხბურთელთა გუნდი წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში გამოვა „ა" კლასის პირველ ჯგუფში. ამ გუნდმა მიიღო ახალი სახელწოდება „პამირი".

● **მალე** „მფრინავ მოთხილამურეებს" დიდი ასპარეზობა მოელით. ეს არის მსოფლიოს პირველობის გათამაშება ტრამპლინიდან ხტომაში. ახლა მათ პაკქრონა აქვთ კლინგენტალში მეგობრობის თასზე. პირველ ეტაპზე უძლიერესი იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი ჰ. კვეკი, რომელიც პირველად 92,5 მეტრზე გადახტა, ხოლო მეორეჯერ — 87,5 მეტრზე. საბჭოთა სპორტსმენებმა გ. ნაპალკინმა და ვ. ბელოუსოვმა თანმიმდევრულად მეოთხე და მეხუთე ადგილი დიაკავეს.

● **თბილისში** გრძელდება საქართველოს თასის გათამაშება ფარიკაობაში. ხმლით ასპარეზობაში პირველი იყო ბ. ხახვაძე. ა. გოგელიამ მეორე ადგილი დიაკავა.

ᲠᲐᲓᲘᲝ

25 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 08.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 09.15 — რესპუბლიკური გზშეთების მიმოხილვა, 09.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 11.00 — „პიონერთა დაფიონი" (მოსკოვი), 11.45 — „ეკრანის ე. ვირსალაძე, 12.05 — მუსიკალური რადიოფიშა, 12.30 — რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი", 13.00 — ციკლიდან „მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის". კონცერტი-საუბარი „ბ. მარტინუ", 14.00 — მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „ზარმაცა", 15.00 — „მეგობრობის კონცერტი". ტრანსლაცია ბაკოდან, 15.30 — ა. მირცხულავა. ლერსები, 17.15 — „ეკრანის ინსტრუმენტული ანსამბლი „მელოდია", 17.30 — საუბარი „ლენინის სტატია „რევოლუციის დასაწყისი რუსეთში" (დაწერის 65 წლისთავის გამო), 17.45 — ვ. დოლიძე. ნაწყვეტები ოპერა „ქეთი და კოტედან", 18.10 — კონცერტი — „თქვენი თხოვნით, მეგობრებო!", 19.40 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 20.30 — რ. ჯაფარიძე, რადიოდადგმა. „ჯარისკაცის ქვრივი" (ნაწილი მეორე), 21.45 — ხელოვნების ოსტატთა კონცერტი, 22.50 — მომჯადოკი. ესპანური ციკვები, 23.30 — მუსიკა ქართული კინოფილმებიდან, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

09.35 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დანახმარებლად — ლექცია უმაღლეს მათემატიკაში, 10.35 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია ბიოლოგიაში, 11.05 — კინონარკვევი, 11.15 — მუსიკალური გასართობი პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.45 — „იდიდე მარად ჩემო სამშობლოვ!" — ზუსტაფონის რაიონი (18 იანვრის გადაცემის გამეორება), 12.35 — ქართული მხატვრული ფილმი „არსენა", 14.05 — ტელეპანორამა, 14.40 — ცენტრალური ფერადი ტელევიზიის პროგრამა, 15.30 — კინოპროგრამა, 16.05 — „წარსულის გახსენება და მომავლის გაფრთხილება" (18 იანვრის გადაცემის გამეორება), 17.05 — ახალი ამბები, 17.10 — „კინონარკვევი, 17.30 — კონცერტი ბავშვებისათვის, 18.10 — კინოფიშა, 18.40 — საქართველოს რადიოპროგრამა — 1970 წელს, 18.55 — „მუსიკალური ფოსტა", 19.40 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — ცენტრალური ფერადი ტელევიზია. „მხიარულთა და საზრიანთა კლუბი", 22.00 — საქართველოს ფერადი ტელევიზია „კინოობიექტივი".

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ

24 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ-პასკუალი (27-ე აბონ. მე-8 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სიბრძნე სიცოცხლისა; **რუსთაველის სახელობის. მცირე დარბაზი** — სამანიშვილის დიდინაცვალი; **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — სიყვარული სახუმარო არ არის; **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჩემი მშვენიერი ლედი; **რუსთაველის სახელმწიფო დრამატული (რკინიგზელთა სახლში)**— სირანო დე ბერჟერაკი; **კონსერვატორიის დიდი დარბაზი** — საფორტეპიანო მუსიკის საღამო გეორგი ხალმოშის შესრულებით (რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკა); **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ძია ელიზბარი (№ 50 აბონ. 5 ს. და 30 წ.).

ᲙᲝᲛᲔᲣᲜᲘᲡᲢᲘ | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-03-09, ბ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 98-22-93, მრეწველობის — 98-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, ხაჭოთა მშენებლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-68, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 98-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 98-28-54, განცხადებების — 98-98-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 60449 | УГ 08028 | საქ. კპ ცკ-ს გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. | 9